პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! შაბათი, 18 ივლისი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 160 (858) 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ

## ამხანაგობა და მეგობრობა წითელი არმიის ძლიერების საუკეთესო თავდებია.

წითელი არმია—ერთი მთლიანი, განუყოფელი, ძმურად შეკავშირებული ოჯახია. მას ახასიათებს, არა მარტო მ სი მაღალი მიზნები, რევოლიუციონური დისციპლინა, მშრომელი ხალხისადმი თავდადება და ერთგულება, არამედ იშვიათი ამხანაგობა და მეგობრობა. აქ როგორც იტყვიან საქმებით განხორციელებულია დებულება „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“. სხვაფრიად არც შეიძლება იყოს. წითელ არმიაში ყველა მშრომელი ხალხის შვილებია. მათი ერთსულოვნობისაგან, ურთიერთ მეგობრობისაგან დამოკიდებულია წითელი არმიის სიძლიერე და სიმტკიცე.

თითეული წითელ არმიელი გამსჭვალულია პატივისცემით ეპყრობოდეს თავის ამხანაგებს და მუდამ ზრუნავდეს ამხანაგურ და მეგობრულ დამოკიდებულებაზე წითელ არმიელთა შორის.

ასე არ იყო მეფის დროს. მეფის ჯარში განზრახ სთესდენ ქიშპობას და შურს ჯარისკაცებსა და ცალკე ნაწილებს შორის. ცხენოსანი დასცინოდა ქვეითს, არტილერისტი მესანგრეს და ასე.

მეფის არმიის ხელმძღვანელნი ამ ურთიერთ დაცინვას და შურს უფრო ამწვავებდენ სხალისებით. ამით ისინი აღწევდენ იმ მიზანს, რომ ჯარისკაცებს შორის უთანხმოებას აგდებდენ, ხელს უშლიდენ მათ შეკავშირებას, მეგობრობას, და ამით იყენებდენ მათ ბრმა იარაღად.

რასაკვირველია ყოველივე ამას წითელ არმიაში ადგილი არ აქვს. და თუ აქვს მას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს დაწყებული მეთაურებით და გათავებული წითელ არმიელებით.

დაცინვა, ქიშპობა წითელ არმიის რიგებში დაუშვებელია. წითელ არმიაში ყველა თანასწორია. წითელი არმია ვეებერთელა რთული ორგანიზმია. მასში მომუშავე თითეული სამხედრო პირი, თითეული ნაწილი ასრულებს განსაზღვრულ მუშაობას. ყველანი მუშაობენ მის განსამტკიცებლად. თავთავის დარგში ყველანი პასუხისმგებელნი არიან და ყველა სამუშაო თანასწორ მნიშვნელოვანია. დაცინვისათვის და ამაყობისათვის აქ არავითარი ნიადაგი არ არსებობს. სამწუხაროდ არა ყველას შეუგნია ეს ჭეშმარიტება.

დღეს ჩვენს გაზეთში თავსდება ცნობა, რომ ერთად მცხოვრებ ოცეულებს შორის არ არის კარგი განწყობილება და ამხანაგობა. როგორც ირკვევა ამას ხელს უწყობენ ზოგიერთი პირები. ეს შეუწყნარებელი მოვლენაა. ამ უმსგავსოებას დაუყონებლივ უნდა მოეღოს ბოლო. უამხანაგობას, დაცინვას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს წითელ ჯარში. ვინც ქიშპობასავრცელებს წითელ ჯარში ის ხელს უწყობს მის შესუსტებას და ღალატობს საბჭოთა რესპუბლიკას.

არა ქიშპობა და შური, არამედ მჭიდრო კავშირი, ამხანაგობა და მეგობრობა უნდა სუფევდეს დიდ მუშურ-გლეხურ წითელ-არმიაში როგორც დისციპლინა, ისე ამხანაგობა და მეგობრობა საფუძველია წითელი არმიის დაუძლეველობისა და ძლიერების.

თუმცა ზემოთ მოყვანილი შემთხვევა იშვიათი გამონაკლისია, მაგრამ არავითარ გამონაკლისს ამ მხრივ ჩვენ არ მოვითმენთ. თითეულ უამხანაგობის ფაქტს ჩვენ სამარცხვინო ბოძზე გავაკრავთ.

წითელ არმიელებო და ცვალებადელნო! მუდამ და ყოველთვის ხელი შეუწყვეთ და განამტკიცეთ მეგობრობა და ამხანაგობა თქვენს რიგებში.

ნუ დაივიწყებთ, რომ ერთსულოვნობით, მჭიდრო კავშირით, ამხანაგობით, ურთიერთ მიშველებით ჩვენ ყოველთვის დავამარცხებთ მტერს და მუდამ გამარჯვებული ვიქნებით.

## ბურჟუაზიის საბრძოლო საშუალებანი—სიცრუე და ყალბი საბუთებია.

სიცრუე, ტყუილი, თვალთმაქცობა—ბურჟუაზიის საუკეთესო იარაღია. ყველგან და ყოველთვის თუ საჭიროება მოითხოვს ის მზად არის გამოიყენოს ეს ბინძური საშუალებანი. დიდის გულმოდგინებით იყენებს მათ კაპიტალისტური კლასი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაც, განსაკუთრებით ინგლისის იმპერიალისტები.

როგორც ბევრჯერ აღგვინიშნავს ანტი—საბჭოთა კამპანია საზღვარგარეთ მეტის მეტად გაიზარდა ამ უკანასკნელ ხანებში. კამპანიის სულის ჩამდგმელია ბრიტანეთის იმპერიალისტური ბურჟუაზია.

ამ გაცხოველებული მტრობის ნამდვილი მიზეზი როგორც ვიცით მდგომარეობს საბჭოთა კავშირის ზრდაში და განმტკიცებაში.

მსოფლიო ბურჟუაზიას ეგონა, საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები ვერ შესძლებდენ მეურნეობის აღდგენას საკუთარი ძალებით და დამარცხდებოდენ. მაგრამ ისტორიამ სულ სხვა ისურვა. საბჭოთა კავშირი მედგრად მიიწევს წინ აღორძინების გზაზე. ის საუკეთესო მაგალითია დასავლეთის მუშებისათვის იმის, თუ რის გაკეთება შეუძლია მშრომელის შემოქმედებით ხელს. აი ამ მხრივ საბჭოთა სახელმწიფო ედიდეს რევოლიუციონურ საფრთხეს წარმოადგენს იმპერიალისტური მსოფლიოსათვის. ეს კარგად ესმით კაპიტალისტურ მთავრობებს და ამიტომ არის, რომ ისინი ასეთი გააფთრებით აწარმოებენ ჩვენ საწინააღმდეგო კამპანიას. მაგრამ თავის მტრულ პოლიტიკას ჩვენს წინააღმდეგ ისინი სხვა სახით აწარმოებენ. ისინი ლაპარაკობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ერევა სხვა სახელმწიფოების საქმეში, თითქოს რომ ის არღვევს დადებულ ხელშეკრულებას და სხვა.

ყოველივე ამ ბრალდებას იმპერიალისტური მთავრობები ამტკიცებენ სათანადო „საბუთებით“. მაგრამ როგორი საბუთებით?

ამის პასუხს ჩვენ მივიღებთ ამხ. ჩიჩერინის საუბრიდან. არც ერთი საბუთი, რომლითაც სცდილობენ ჩვენს დანაშაულობის დამტკიცებას იმპერიალისტები არ არის მართალი.

სულყველა ყალბია და თეთრგვარდიელ აფერისტების მიერ არის შეთხზული.

აი როგორია ეს საბუთები.

ეს საბუთები, ამბობს ამხ. ჩიჩერინი, აღსავსეა პოლიტიკურ უვიცობით, ეგზავნებიან არ არსებულ დაწესებულებებს, არ არსებულ პირებს და ხელსაც ასეთივე არ არსებული პირები აწერენ. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ასეთი უხეში ყალბი საბუთების დამზადება არც ისე ძნელი საქმეა. და გასაკვირიც არაა, რომ ისინი ისე იაფად იყიდებოდა: თითო საბუთი სღირებოდა სულ 150 ამერიკულ დოლარად, ხოლო კომისიონერი 100 მარკას ღებულობდა.

აი რას წარმოადგენენ ეს საბუთები, მხოლოდ სიცრუეს სიყალბეს და საზიზღარ ცილისწამებას.

მაგრამ როგორც იტყვიან „სიცრუეს მოკლე ფეხი აქვსო“.

საეჭვოა რომ იმპერიალისტებმა ამ ყალბი საბუთების საშუალებით მიაღწიონ თავის პროვოკაციულ მიზანს. ჩვენ გვწამს, რომ ყველა ბურჟუაზიული ქვეყნის მშრომელთა მასები არ წამოეგებიან ამ ბურჟუაზიის პროვოკაციაზე და ღირსეულ პასუხს გასცემენ მათ სიცრუის და ცილისწამების კამპანიას.

საბჭოთა ხელისუფლება კი თავისი პროლეტარული სიმართლით მუდამ შესძლებს ბურჟუაზიის სიყალბის გაბათილებას და გამოაშკარავებს.

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## ყალბი საბუთები ჩვეულებად გადაიქცა ბურჟუაზიის პოლიტიკაში.

### საუბარი ამხ. ჩიჩერინთან.

როსტას თანამშრომელთან საუბარში ამხ. ჩიჩერინმა განაცხადა: რამოდენიმე დღის წინად, როცა უცხოეთის პრესის გაბატონებული ნაწილი და ზოგიერთი მთავრობის ცალკე წევრები გააფრთრებით ილაშქრებდენ ჩვენს წინააღმდეგ, მე გამოვედი განცხადებით, რომ ჭეშმარიტი ნათელი მომეფინა საბჭოთა კავშირის პოლიტიკისთვის და გამებათილებია ჩვენი მტრების ბოროტი ცილისწამებანი.

მე უყურადღებოდ დავტოვე ის ყალბი საბუთების კამპანია, რომელიც ისე ახასიათებს ჩვენს მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ბანაკს. ამ კამპანიის მონაწილეებმა კარგად იციან იმ ქარხნების არსებობის შესახებ, რომლებშიაც მზადდება ყალბი საბუთები და რამოდენიმე მათგანი ამ ბოლოს დროს აღმოჩენილიც იქნა. თუ რომ ასეთი ქარხნები თანდათან მრავლდება, სჩანს მათ დაკვეთაც ბევრი აქვს. არ შემიძლია არ აღვნიშნო დრუჟელოვსკის დაპატიმრების ფაქტი, როცა მას აღმოუჩინეს ყალბი საბუთები, თვითონ გამოტყდა, რომ ასეთ საბუთებს ჰყიდდა სხვა და სხვა მთავრობასთან და ეს კაცი გერმანიის პოლიციამ გაათავისუფლა. ამ დღეებში ის კვლავ დააპატიმრეს, ხოლო მეორე მოხელე ყალბი საბუთების—იაკუბოვიჩი, ვენაში გაათავისუფლეს, გაამართლეს და დაუსჯელი დასტოვეს.

დღეს, როცა ჩვენმა უკიდურესმა მტრებმა წამოჰყეს თავი და სცდილობენ ერთიანი ფრონტით გამოლაშქრებას ჩვენს წინააღმდეგ,—გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ასეთი ყალბი საბუთები უფრო გამრავლდება.

საერთაშორისო მშვიდობიანობის მომხრეებმა უნდა იცოდენ, რომ ეს საბუთები გამოდიან სპეციალურ პროვოკატორულ ქარხნებიდან და მათ ამზადებენ პროფესიონალური ავტორები“.

## გერმანიის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირში.

### დელეგაციის მუშაობის გეგმა.

გერმანიის მუშათა დელეგაცია ჩამოვა მოსკოვში 20 ივლისს და შემდეგ დარჩება იქ სამი დღე, რის შემდეგ ის გაემგზავრება სხვა და სხვა ქალაქებში მრეწველობისა და შრომის პირობების გასაცნობად. ისინი, გაყოფილი სამ ჯგუფად, დაათვალიერებენ ცენტრალურ სამრეწველო რაიონს, ურალის რაიონს და საბჭოთა კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთს. დელეგაცია დარჩება ჩვენში სულ ერთი თვე.

## პერსელის გამარჯვება.



პ ე რ ს ე ლ ი.

პარლამენტის დამატებითი არჩევნებზე ფორესტში „პერსელმა მიიღო 11.629 ხმა, კონსერვატორ ბომონმა—8.607, ლიბერალ ვესტმა—8.774.

პერსელის გამარჯვებას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ყველა გაზეთები მის წინააღმდეგ აწარმოებდა კამპანიას მისი სიმპატიის გამო საბჭოთა კავშირის მიმართ.

ორშაბათს, 20 ივლისს, საღამოს 6 საათზე, მოწვეულია ტფ ლ-სის საბჭოს შემდეგი სექციების მორიგი სხდომა:

1. კომუნალური . . . . . . (წითელი თეატრი).

**დღის წესრიგი:**

1) მოხსენება აბანოების შესახებ.
2) „ სასაკლაოს შესახებ.
3) „ უმუშევრობის და მასთან ბრძოლის შესახებ.
4) „ საზოგადო სამუშაოებზე.
5) მიმდინარე საკითხები.

2. საფინანსო . . . . . . (აღმასკ. შენ. ოთახი № 17)

**დღის წესრიგი:**

1) საინფორმაციო მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საფინანსო თათბირის შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

3. ჯანმრთელობის . . . . . (აღმასკ. შენ. ოთახი №57)

**დღის წესრიგი:**

1) ვენეროლოგიური და ტუბერკ. დისპანსერის შესახებ.
2) ტუბერკულიოზის სამ-დღიურის ჩატარების ანგარიში ტფილისში.
3) მიმდინარე საკითხები.

4. სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის (აღმასკ. შენ. ოთახი № 66).

**დღის წესრიგი:**

1) მოხსენება სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის შედგენილ 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმის შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

სექციებში ჩაწერილ ყველა საბჭოს წევრთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

# საქართველოს ცაკის მეორე სესია.

## მეოთხე სხდომა.

სხდომა იხსნება საღამოს 6 ნახევარ საათზე ამხ. ს. თოდრიას თავმჯდომარეობით. მოხსენების გასაგრძელებლათ 1925—26 წლის ბიუჯეტის შესახებ სიტყვა ეძლევა ამხ. თ. ღლონტს.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მთლიანი ბიუჯეტის (შემოსავალ-გასავლის ანგარიში) გასატარებლათ საჭირია, რომ ყველა ადგილობრივმა აღმასკომებმა შეისწავლონ თავისი მაზრის ეკონომიური პირობები და მერე შეუდგენ ბიუჯეტის შედგენას. ბიუჯეტი, საზოგადოთ ქვეყნის ეკონომიური სიძლიერის სარკეა და მის შესადგენათ საჭიროა დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა.

შემდეგ ორატორი ეხება „სათემო ბიუჯეტის შემოღებას და ამბობს, რომ სათემო ბიუჯეტი შემოღებული იქნება პირველ ხანებში, მხოლოდ იმ მაზრებში, სადაც საამისო პირობები არსებობენ და შემდეგ კი რესპუბლიკის ყველა მაზრებში. სათემო ბიუჯეტს უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა აგრეთვე იმ ლოზუნგთან დაკავშირებით, რომელიც ამბობს „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ“.

ამხ. ღლონტის მოხსენების შემდეგ, სესიამ დაამტკიცა ამ მოხსენების დასამუშავებლათ არჩეული კომისიის დადგენილება 1925—26 წლის ბიუჯეტის შესახებ.

# არმიის თათბირი.

## ეროვნულ და ტერნაწილებში მუშაობის შესახებ.

(15 ივლისის საღამოს სხდომა).

**კ. წ. დ. არმიის პოლიტსამმართველოს უფროსის ამხ. რატნეკის სიტყვა.**

მიმდინარე თათბირის მნიშვნელობა ჩვენთვის დიდია ჯერ კიდევ მარტო იმით, რომ ნახევრად ჩვენს არმიას შეადგენენ ეროვნული დივიზიები.

ეს თათბირი მეორეა ჩვენს არმიაში; ეროვნულ დივიზიების მომუშავეთა პირველი თათბირი უკვე ჩატარდა 1923 წელში. მაშინ მთელი სიგრძესიგანით წარმოიშვა ეროვნულ ნაწილების აღმშენებლობის საკითხი ჩვენს არმიაში. ეს იყო პრინციპიალური და აღმშენებლობითი ხასიათის საკითხები. ეროვნულ ნაწილებმა სრულიად გაამართლენ თავიანთი დანიშნულება. ჩვენ ამჟამად გვყავს ეროვნული დივიზიები, რომლებიც წარმატებით ანხორციელებენ ჩვენი არმიის დანარჩენ ნაწილებთან გათანასწორების საქმეს.

ამიტომ ჩვენი შემდეგი ამოცანაა—მუშაობის გაღრმავება იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც ჩვენ მივიღეთ განვლილ მუშაობის შედეგად.

დღევანდელი ჩვენი საკითხია ეროვნულ ნაწილების პრაქტიკული აღმშენებლობის საკითხი. ტერაღმშენებლობის დარგში ჩვენ კიდევ არა გვაქვს საკმაო გამოცდილება და ამ მხრივ ჩვენ დიდი ამოცანები გვიდგას წინ.

ამიერ-კავკასიის სოფლის შესახებ ჩვენ ძალიან ცოტა გაგვიკეთებია; ჩვენ ვერ შევძელით ჩაგვება ამ მუშაობაში სამოქალაქო ორგანიზაციები, ხოლო უამისოდ კი ტერაღმშენებლობა შეუძლებელია.

**თათბირის დღის წესრიგი.**

თათბირი ამტკიცებს შემდეგ დღის წესრიგს: 1) მოხსენებები ადგილებიდან, 2) ეროვნულ დივიზიების პარტორგანიზაციების მდგომარეობისა და მუშაობის თავისებურობანი, 3) სამხედრო პროპაგანდა მოსახლეობის შორის და სოფლად მუშაობა ტერაღმშენებლობასთან დაკავშირებით, 4) კ. წ. დ. ა. პოლიტსამმართველოს და დივიზიის პოლიტგანყოფილებების სახელმძღვანელო მუშაობის ფორმები, გამოცდილების აღრიცხვა და ინფორმაცია, 5) ეროვნული სამხედრო პოლიტსკოლები და 6) ეროვნულ დივიზიების საგამომცემლო მუშაობა და არმიის პრესის ეროვნული მომენტი.

გარდა ამისა შესდგა სამი სექცია შემდეგი საკითხების დასამუშავებლად: საორგანიზაციო—პარტიულ მუშაობის, სააგიტაციო საპროპაგანდო მუშაობისა და ტერნაწილებში მუშაობის შესახებ.

**მოხსენებები ადგილებიდან.**

(16 ივლისის დილის სხდომა.)

ტერნაწილებში მუშაობის მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდენ სამხედრო კომისრები: აზერბაიჯანის დივიზიის მეორე ტერლეგიონიდან ამხ. მაგერამოვი, სომხეთის დივიზიის მესამე ტერლეგიონიდან ამხ. მეგრაბიანი, ქართული დივიზიის მეხუთე ტერლეგიონიდან ამხ. უგულავა, მე-2 ქართულ ტერდივიზიის სამხედრო კომისარი ამხ. მარქაროვი და განჯის მაზრის სამხედრო კომისარი ლუსნიაკოვი.

ყველა მომხსენებლებმა აღნიშნეს 1903-4 წ. წ. დაბადებულ ახალგაზრდათა შორის წვევამდე-მომზადებისა და 1902 წელში დაბადებულთა ტერარმიელებში სამხედრო-პოლიტიკური მეცადინეობის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

1902 წელში დაბადებულთა ტერშეკრების წარმატებას მოწმობს ტერარმიელთა ასივე პროცენტის გამოცხადება ტერდივიზიების ნაწილებში.

მუშაობის ნორმალურ მსვლელობას ხელს უშლიდა სხვა და სხვა დაბრკოლებანი: სასწავლო წერტების მოუწყობლობა, მოჯამაგირეებისა და ულარიბეს გლეხთა კვების მოუგვარებლობა, გამოცდილი ხელმძღვანელების სიმცირე პოლიტმეცადინეობაში, ლიტერატურისა და გაზეთების სიმცირე ეროვნულ ენებზე.

როგორც საერთო ნაკლს, ყველა მომხსენებლები აღნიშავენ სამოქალაქო ორგანიზაციების სუსტ მონაწილეობას ტერაღმშენებლობის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში.

დილის სხდომის ბოლოს გამოვიდა ამხ. პავერმანი, რომელმაც მოხსენება გააკეთა სამხედრო საზღვაო ინსპექციის შემოწმების შედეგის შესახებ კ. წ. დ. ტერნაწილებში.

**16 ივლისის დილის სხდომა.**

16 ივლისის დილის სხდომა დასრულდა მე-5 ქართულ მსრ. ლეგიონის სამხკომ ამხ. ელიაშვილის მოხსენებით.

საღამოს სხდომაზე მოხსენებით გამოვიდენ აზერბაიჯანის დივიზიის პირველი ლეგიონიდან სამხკომი ჯაფაროვი, სომხეთის დივიზიის ცხენოსან ლეგიონიდან—ნერსესიანი, სომხეთის სამხედრო სკოლიდან ამგ. გრიგორიანი და ქართული დივპოლიტსკოლის უფროსი ამხ. ნადირაძე.

ყველა მომხსენებლების მიერ აღნიშნულ იქნა სამხედრო და პოლიტმუშაობის განმტკიცება კ. წ. დ. ა. ყველა ძირითად ეროვნულ ნაწილებში. ეროვნულ სამხედრო და სამხედრო პოლიტსკოლებმა დიდი მუშაობა შეასრულეს მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის მომზადებაში.

**17 ივლისის დილის სხდომა.**

დილის სხდომის პირველ ნახევარის განმავლობაში სწარმოებდა კამათი ადგილებიდან მოხსენებების გარშემო.

კამათის დასრულების შემდეგ თათბირმა აირჩია კომისია ადგილებიდან მოხსენებების გარშემო რეზოლიუციის გამოსამუშავებლად.

**პარტმუშაობის თავისებურობა კ. წ. დ. ა. ეროვნულ ნაწილებში.**

მომხსენებელი ამხ. არტო აღნიშნავს ეროვნულ ნაწილების თავისებურობას, რომელიც გამოიხატება შემდეგში:

სომხეთისა და საქართველოს დივიზიები თავის სოციალურ შემადგენლობით მეტ ნაწილად გლეხებია.

აზერბაიჯანის დივიზიების პარტორგანიზაციებში მუშათა დიდი პროცენტი აიხსნება ბაქოს ნავთის სამრეწველოთი.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპარტიების საერთო და მორიგი ამოცანები ეროვნულ დივიზიების პარტორგანიზაციების საერთო და მორიგი ამოცანებია; ამ ამოცანების გადაჭრა შეფარდებულ უნდა იქნას არმიის პირობებთან.

კამათისა და ამხ. არტოს საბოლოო სიტყვის შემდეგ სხდომა დაიხურა.

მ.

# როგორ ჩატარდა წიგნის კვირეული.

## ჩვენი ბიბლიოთეკის საქმიანობიდან.

1 ლ დივ. 1-ლ საარტილერიო ლეგიონი.

ჩვენი ბიბლიოთეკა ფაქტიურად გამოკეთდა 1923 წლის ბოლო თვეებიდან.

აქედან იწყება მისი გაჯანსაღება, წიგნების დალაგება კლასიფიკაციის მიხედვით, გამოინახა შესაფერი სადგომი, რომ ბიბლიოთეკა მუდმივ ხელმისაწვდომი ყოფილიყო წით. არმიელთა და მეთაურთა შემადგენლობისათვის.

დაიწყო საბიბლიოთეკო ბაასების და ხმა მაღალი კითხვების სისტემატიურად ჩატარება ბატარეის „წითელ კუთხეებში“.

რამოდენიმე დღეების შემდეგ ჩაწერილი იქნა მკითხველებად დივიზიონის შემადგენლობის 50 პროცენტამდე. დაინტერესებულ ამხანაგებისაგან შესდგა ბიბლიოთეკის და წიგნის მოყვარულთა წრე, რომელიც ატარებდა აქტიურ საბიბლიოთეკო მუშაობას მაშინდელ დივიზიონის ფარგლებში.

მოეწყო ბიბლიოთეკა, პირველ ხანებში თუმცა ღარიბი საერთო ლიტერატურით, როგორც ტეხნიკურად, ისე გარეგნულადაც შეკეთებულ იქმნა დაფლეთილი წიგნები, გაუკეთდა კლასიფიკაცია და შეტანილ იქმნა ახალი საინვენტარო წიგნში, რომელშიდაც უნაკლოდ ჩაიწერა შესაფერი წიგნები, შემოღებულ იქმნა ალფავიტიური სახე კატალოგისა.

სადგომი ბიბლიოთეკას ეჭირა ცოტა ვიწრო, მაგრამ სრულიად სინათლიანი, რომელიც შეეფერებოდა წიგნების ჰიგიენურად შენახვას. მაგიდები და საერთოდ დგამი, ნაწილის საღსრიანობასთან შეფარდებით საკმაოდ ჰქონდა ბიბლიოთეკას.

მოგვდიოდა და მოგვდის საკმაო რიცხვი ჟურნალ-გაზეთებისა, რომლითაც ბიბლიოთეკა ყოველთვის უზრუნველყოფილია.

თავიდანვე ჩვენს ბიბლიოთეკას უმთავრესი ყურადღება ქონდა მიქცეული აქტიურ მუშაობისათვის წითელ არმიელთა მასებში. მას ქონდა გამოყოფილი ლიტერატურა ბატარეების ლენკუთხეებისათვის, რომელსაც ხელმძღვანელობენ ბ ტარეების ბიბლიოთეკრები წითელ არმიელთაგან. სისტემატიურად ეწყობოდა ხმა მაღალი კითხვები თემების სათანადო შერჩევით, იყო გამოყოფილი სპეციალური საბიბლიოთეკო საათიც. ეწყობოდა წიგნების გამოფენები სხვა და სხვა თემებზე და პოლიტსათისთვის კეთდებოდა სარეკომენდაციო ფურცლები და ეწყობოდა ზეპირი პროპაგანდა წიგნისა.

გასულ წელს ბიბლიოთეკამ დაარსა საბიბლიოთეკო წრე, რომელიც მიზნათ ისახავდა სოფლის მოწინავე საპოლიტ—განმანათლებლო მუშაკის ქოხ-სამკითხველოებისათვის გამგეების მომზადებას. წრეში მუშაობა დაამთავრეს ამხანაგების მთელმა რიგმა.

ამ ჟამად არსებობს ახალი წრე და სემინარი, რომელიც მეცადინეობს სისტემატიურად. ტარდება წევრების მიერ საუბრები და ხმა მაღალი კითხვები, გამოყოფილია თითო კარავზე თითო ხმამაღალ მკითხველი, რომელთაც სათანადო მუშაობის გეგმას აძლევს ლეგბიბგამგე.

საბანაკო პერიოდში სოფელთან დაახლოების მიზნით ბიბლიოთეკამ გამოყო ქართულ სასოფლო სამეურნეო საგლეხო ლიტერატურა საშეფო სოფლისათვის, რომელიც კოლექტივის სახით არის გაცემული ქოხ-სამკითხველოზე.

მიზიდული ყავს ბიბლიოთეკას მკითხველად ოთხმოცდაათ პროცენტამდე წითელ არმიელთა მასა და მთელი უფპოლიტშემადგენლობა.

ლიტერატურის მხრივ მშობლიურ ენაზე ბიბლიოთეკას მოეპოვება თითქმის ყველა ის გამოცემანი, რომლებიც ესაჭიროებათ ჩვენ მკითხველებს. განზრახულია ახალი ქართულ რუსულ ლიტერატურის შეძენა „წიგნის კვირეულში“.

წიგნების გაცემას ექცევა სათანადო ყურადღება, არ ყოფილა შემთხვევა რომ წაღებულიყოს წიგნი არა შესაფერისი ხმა თუ იმ მკითხველის მცოდნის დონესთან შეუფარდებლად.

სწარმოებს აღრიცხვა კოლექტიურად ბატარეებზე გაცემულ წიგნებისა ბიბლიოთეკების მიერ, იგინივე არიან ხმა მაღალი კითხვა საუბრების ჩამტარებლები „ლენ კარვებში.“

ყველა ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს ბიბლიოთეკის ერთი ცუდი მხარე: ეს არის ლეგ. შემადგენლობისაგან წიგნების არა თავის დროზე დაბრუნება. იყო და არის მიღებული ყოველივე ზომები აღნიშნულზე, მაგრამ შედეგები არა დამაკმაყოფილებელია.

აღნიშნულ დეფექტის გამოსწორებით ბიბლიოთეკა სრულიად გაამართლებს თავის მოწოდებას, ის მეტ სარგებლობას მოუტანს მკითხველთა ფართო მასას.

ა. მინადარიშვილი.

## წიგნისა და ბიბლიოთეკის კამპანია ჩვენთან

(მე-4 ქართ. მსრ. ტერ-ლეგიონის მე-7 ასეული).

4 ივლისს შეუდექით წიგნის კამპანიას.

ბიბლიოთეკის ოთახი მორთულ იქნა სხვა და სხვა ლოზუნგებით და პლაკატებით. ორი სამი საათის განმავლობაში ცვალებადელების მიერ ენერგიული მუშაობით ბიბლიოთეკა თავის სიფაქიზით და სილამაზით იზიდავდა მნახველთ. ამავე დღეს, საღამოს ბიბლიოთეკის მეგობართა ჯგუფის წევრების გაერთიანებულ კრებაზე გამომუშავებულ იქნა გეგმა კამპანიის ჩასატარებლათ.

5 ივლისს ყველა წით. არმიელები მოუთმენლათ ელიან კამპანიის დაწყებას. სრულ 12 საათზე, ასეულის კლუბში გაიხსნა გაერთიანებული კრება, სადაც მოხსენება გააკეთა ამხ. მეტრეველმა, რომელმაც ფართოთ გააშუქა ანბანის წარმოშობის ისტორია. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია ტერარმიელებს შორის.

საღამოს ბიბლიოთეკაში ჩატარებული იქნა ხმა მაღალი კითხვა.

კვირეულის ჩამტარებელი კომისია ემზადება საზოგადოების მოსაწვევათ, რისთვისაც დრამწრე ემზადებს ინსცენიროვკებს, ბიბლიოთეკის მეგობართა ჯგუფი ადგენს წიგნთა კატალოგს, აწყობს ლენ-კუთხეში და ბიბლიოთეკაში სხვა და სხვა დარგის წიგნების გამოფენას. ამავე დღეს გაერთიანებულ კრებაზე მოხსენება გააკეთა მეტრეველმა ბიბლიოთეკისა და ქოხსამკითხველოების როლის შესახებ სოფლათ.

7 ივლისს იმავე მომხსენებელმა გააკეთა მოხსენება—„ბურჟუაზიული წიგნი და ოქტომბრის წითელი წიგნი“.

8 ივლისი ფრიად მნიშვნელოვანი დღე შეიქნა ჩვენი წითელ ყაზარმისათვის.

გვესტუმრა მუშები. მათ თანდათან მოყვა გარეშე საზოგადოება.

კრება გახსნა ამხ. გიორგქალიაშვილმა, რომელმაც თავის სიტყვაში გააცნო დამსწრეთ საღამოს მიზანი და ბიბლიოთეკის მნიშვნელობა.

მან შეადარა ერთმანეთს ბურჟუაზიული და საბჭოთა ბიბლიოთეკები.

აღნიშნა წიგნთა რაოდენობის ზრდა საბჭოთა კავშირში და გადავიდა ახალ ლოზუნგის „პირით სოფლისაკენ“ მნიშვნელობაზე.

ამის შემდეგ დრამწრის მიერ იქნა დადგმული ორი ინსცენიროვკა „წითელი წიგნი“, „წიგნის მკვლელის“ გასამართლება და პიესა ორ სურათად. „ძველი და ახალი ყაზარმა“, რამაც დამაკმაყოფილებლათ ჩაიარა. საღამომ დიდი შთაბეჭდილება დატოვა დამსწრე საზოგადოებაზე.

სამხკორი შ. ღვდელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხედრო საქმე

## შეჯიბრი სროლაში.

პრაქტიკული სროლის გავლის შემდეგ ყოველნაწილში ჩატარდება შეჯიბრი შაშხანით, ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევებით და ხელით სატყორცნი გრანატებით სროლაში.

რომ თვითეული წითელ არმიელი თავის დროზე მოემზადოს ამ სროლისათვის, საჭიროა გავაცნოთ ის პირობები, რომლებიც უნდა აასრულოს თვითეულმა მათგანმა.

საჭიროა მოვიგონოთ, რომ შეჯიბრებითი სროლა იყოფა ცალკეულად (ინდივიდუალურად) და ჯგუფურად (კოლექტიურად). ჯერ გავჩერდეთ ცალკეულ სროლაზე შაშხანიდან. რომ დაშვებულ იქნას შეჯიბრში, მთავარი პირობა ისაა, რომ პრაქტიკული სროლის დროს მეომარმა უნდა მიიღოს „საუკეთესო მსროლელის" წოდება, თუ რომ ის მეორე წელია მსახურობს, და „კარგი მსროლელის" წოდება, თუ რომ შემოდგომაზე გამოწვეულია. ამ წელში საუკეთესო მსროლელის წოდების მისაღებ დ პირობები გაადვილებულია რამოდენიმედ, ვინაიდან ასეულებს არ გაუვლიათ სროლა სრულად.

როგორ იწარმოებს შეჯიბრი?

შეჯიბრზე დაშვებულ თვითეულ მსროლელს ეძლევა ხუთი სანიშნო:

1) თავის სანიშნო 200—250 ნაბიჯზე.

2) მკერდის სანიშნო 250—350 ნაბიჯზე.

3) წელს ზევით სანიშნო 350—450 ნაბიჯზე.

4) მთელი სიმაღლის სანიშნო 450—550 ნაბიჯზე.

5) ტყვიამფრქვევი (რომელიც მიიმალება) 550—650 ნაბიჯზე.

სროლისთვის ეძლევა ხუთი ვაზნა.

ადგილი, საიდანაც იწყება სროლის შესრულება, იმყოფება 40—50 ნაბიჯზე ცეცხლის ხაზიდან. აქ მსროლელები ღებულობენ ვაზნებს, განსაზღვრავენ მანძილს სანიშნოებამდი, სტენიან შაშხანას და შეაყენებენ ჩახმახს დამცველ ფეხზე.

როცა მისცემენ ნიშანს „სირბილით" წასვლის შესახებ და უჩვენებენ, თუ რომელ ზღვარზე გავიდნენ, მსროლელნი ადგილმდებარეობასთან შეხამებით იწყებენ გადარბენას. დანიშნულ ადგილზე მსროლელები გაჩერდებიან და 1 ნახ. წუთში ესვრიან სანიშნოებს ხუთივე ვაზნას. სროლა შეიძლება ყოველნაირად, ფეხზე, დაჩოქებით, წამოწოლით, მაგრამ და უყრდნობლად; მსროლელს ნება აქვს დაიწყოს სროლა შორი ან ახლო სანიშნოდან, მაგრამ უსათუოდ უნდა ესროლოს თვითეულ მათგანს.

1 ნახ. წუთის შემდეგ მათ შეაწყვეტინებენ სროლას, ჩამოართმევენ ვაზნებს თუ ასეთები დარჩა გაუსროლელი, გასინჯავენ სავაზნე პარკებს და შაშხანას და აძლევენ განკარგულებას „სდექ". ამის შემდეგ კომისია გაემართება სანიშნოების დასათვალიერებლად და სროლის შედეგების საჩვენებლად.

ვინ ითვლება პირობის ამსრულებლად ე. ი. გამარჯვებულად?

ამისთვის საჭიროა ხუთივე ვაზნის გასროლა და არა ნაკლებ 4 სანიშნოს შემუსვრა. პირველ ადგილს დაიჭერს ის, ვინც ხუთივე სანიშნოს შემუსრავს, ხოლო მათ რიცხვიდან ვინც ეს პირობები შეასრულა, —პირველ მსროლელად ითვლება ის, ვინც შემუსრა სანიშნოები უფრო მოკლე დროში. ხოლო თუ დროც ერთნაირია, უკეთეს მსროლელად ითვლება ის, ვინც შემუსრა უშორესი სანიშნო—ტყვიამფრქვევი, შემდეგ თავის, მკერდის, წელის ზევითა და მთელი სიმაღლის.

პ.

# მიმდინარე ტერშეკრების საექიმო და სასანიტარო დახმარების შესახებ.

(დასასრული.)

არმიელისათვის საჭირო არის ექიმის გასინჯვისთანავე იქვე წამლის მიცემაც, კარგი და პატიოსანი, ასე მოვაწყობთ შემდეგში, ადვილი საქმე არისო, ასე ამბობდენ ადგილობრივათ.

ავათმყოფთა საავათმყოფოში მიღების შესახებაც ამბობდენ შეძლებისდა გვარად, რამდენათ ნებას მოგვცემს ჩვენი ლა[illegible]ობი საავათმყოფოები, სადაც განსაზღვრული საწოლები არის, გაუწევთ ანგარიშს სამხედრო ორგანიზაციების სპეციფიურ თვისებებსო.

აღსანიშნავია კიდევ ზოგიერთი დეფექტები, შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში წვრილმანიც იყოს, მაგრამ სამხედრო ორგანიზაციისათვის ხშირად წვრილმანებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

ერთ-ერთ წერტზე ექიმს ერთი წით. არმიელი მიუჩნევია შედარებით სისხლნაკლოვანათ და მიუწერია ასეულის უფროსისათვის მიეცეს მას რძე და კვერცხები ყოველდღიურადაო. წით. არმიელი მიდის თავის უფროსთან და სთხოვს დანიშნულ დიეტას.

თავისთავად ცხადია, ასეულის თავი მას ვერ აკმაყოფილებს და ბრაზი მოსდის იმ ექიმზე და წით. არმიელიც უკმაყოფილოა, ექიმმა რძე დამინიშნა და არ მაძლევენო. ექიმს როგორც ეტყობა, სამხედრო უწყებაში არასოდეს არ უმსახურია.

ჩვენთვის არმიელი ან კარგათ არის და ჩვეულებრივ ულუფას ღებულობს, ან და თუ დიეტა ესაჭიროება ვათავსებთ მას საავათმყოფოში, სადაც ღებულობს შესაფერის ულუფას რძე იქნება ის თუ კვერცხი.

ასეულის თავმა ეს კარგათ იცის და მიტომაც მოსდის ჯავრი ექიმზე.

მისი გულის წყრომა ადვილათ გასაგებია, მაგრამ საკმარისი იყო მისულიყო ამბულატორიაში, მოელაპარაკებია ექიმთან, გაეცნო ის საქმის ვითარებასთან და საქმეც მოგვარდებოდა. აი კიდევ ერთი მაგალითი. ერთ ათასეულის წერტის უფროსს თანახმათ ინსტრუქციებისა, მიუმართავს ჯანინსპექტორისათვის სანსაათებისათვის ექიმის გამოყოფის შესახებ. მას შემოუთვლია-ჯერ არ გვცალია, საქმეს მოვრჩებით და დავიწყებთო.

შეკრების მესამე კვირა გათავებულიყო და არც ერთი სანსაათი არ გატარებულიყო. საქმე არც ერთ საბჭოთა მოსამსახურეს არ დაელევა, შეკრება კი ამ დროს უკვე გათავდება და ცვალებად შემადგენლობა კი სანიტარულად უსწავლელი დაბრუნდება შინ.

მეორე სწორეთ ამ გარემოებას ქონდა ადგილი იქ, სადაც ცვალებად შემადგენლობა შედარებით სხვა კუთხეებთან უფრო ჩამორჩენილია.

ასეთ მაგალითების ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ესეც საკმარისი არის მისი დასამტკიცებლათ, თუ რამდენათ საჭირო არის ამ თავითვე წერტების ხელმძღვანელთა ადგილობრივი ჯანმრთელობის ორგანოებთან კონტაქტიური და შეთანხმებითი მუშაობა, რაც შეიძლება ხშირი განმარტება ტერშეკრების მნიშვნელობის შესახებ და ყოველგვარი დახმარების წესების სამხედრო ორგანიზაციის სპეციფიურ თვისებებთან შეფარდება და არა წინაამდეგ, როგორც ამას ქონდა ადგილი ზოგიერთ წერტებზე.

X.

# ჩვენს ტერნაწილებში

## კულტურულ ფრონტზე.

მეხუთე ლეგ. პირველი ათასეული.

ჩვენი ლეგიონის ათასეული პირველ დღეებშივე შეივსო ცვალებად შემადგენლობით, რომლებიც თავიდანვე გულმოდგინეთ ეკიდებიან მუშაობას.

ათასეულმა ამ მოკლე ხნის განმავლობაში უკვე შესძლო ყოველკვირეული კედლის გაზეთის გამოშვება. გაზეთის პირველი ნომერი „პირველი ათასეულის ხმის" სახელწოდებით გამოვიდა 10 ივლისს.

ის სრულიად ამართლებს თავის დანიშნულებას. წერილები ყოფა-ცხოვრების შესახებ დახვეწილია და მრავლად მხატვრობითაც გამართლებულია გაზეთი. იუმორი მშვენიერი დასხვა. თანამშრომლებათ ჩაბმული არიან უმეტესად წითელ არმიელი, გლეხკორები მუშკორები და სხვა.

ათასეულში მოწყობილი გვაქვს აგრეთვე მშვენიერი ლენინის კუთხეები, სადაც ყოველთვის მოიპოვება პოლიტიკური შინაარსის ბროშურები და ახალი ჟურნალ-გაზეთები. ყველა წერა-კითხვის მცოდნე და უცოდინარი არმიელებიც ხშირი სტუმარი არიან ლენკუთხის. ზოგიერთებს თუ არ შეუძლიათ კითხვა—ყურს უგდებენ სხვის წაკითხულს.

ყოველ კვირაობით ათასეულში მოდის ლეგიონის ორკესტრი, რომელიც ძლიერ ახარებს არმიელებს და მთელი დღე მხიარულებაში ატარებენ.

მუსიკაზე გამართულ ცეკვა თამაშში ჩვენი მეთაურებიც არმიელებთან არიან და მათთან ერთად ცეკვავენ.

საერთოდ მეთაურები ასეთი დაახლოების გარდა ძლიერ უწყობენ ხელს არმიელების განვითარების საქმეს. საჭიროების დროს ისინი აქაც მათთან არიან და აძლევენ აუცილებელ ახსნა-განმარტებებს.

წერა-კითხვის უცოდინარებთან მეცადინეობა უკვე დაიწყო. იმედია წერა-კითხვის უცოდინარობას ჩქარა მოეღება ბოლო ჩვენს რიგებში.

სამხკორი წ. ა. რუსპირელი.

# ავიოქიმიის კამპანიის ჩატარება.

მე-6-ხე ლეგ. მე-3-მე ათასეული.

თუმცა ვიწრო ფარგლებში, მაგრამ ჩვენმა ათასეულმა შესძლო ავიოქიმიის კამპანიის ჩატარება.

ამ დღეებში იმავე თემაზედ ათასეულის ლენკუთხეებში ჩატარებული იქნა საუბარი; კომუჯრედებმა გამოუშვა რამდენიმე სადღეისო ლოზუნგი.

15 ივლის კი შესდგა ათასეულში შეერთებული კრება, რაზედაც დაესწრო მთელი შემადგენლობა.

კრება გახსნა ათასეულის უფრ. პ. ხელმძღვანელმა. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება ავიოქიმიის შესახებ და 2) მიმდინარე საკითხები.

მოხსენება გააკეთა ათასეულის თავმა ამხ. ზაუტაშვილმა, რომელმაც გაგვაცნო ავიოქიმიის მნიშვნელობა და თუ როგორი ყურადღება ექცევა მას როგორც ახალ საშვალებას ომის დროს კულტურულ ქვეყნებში ახანაგმა გააცნო კრებას აგრეთვე საჰაერო ფლოტისა და ქიმიური გაზებიდან თავდაცვა.

ბოლოს მან მიუთითა ყველა ამხანაგებს, რათა მჭიდროთ შეკავშირდენ აღნიშნული საზოგადოების ირგვლივ, რომელიც გაამაგრებს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისაგან ომის გამოცხადების შემთხვევაში, ჩვენც შეგვეძლება ტეხნიკის ამ უკანასკნელი მიღწევის მოხმარებით სათანადო პასუხი გავცეთ ჩვენი საზღვრებიდანო.

ბოლოს გამოტანილი იქმნა თანადო რეზოლიუცია და კრებაც დაიშალა.

სამხკორი დ. ჭანკვეტაძე.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა.

## მე-2-ე ლეგიონის სკოლის კურსანტთა ცხოვრებიდან.

მეორე ლეგიონის სკოლაში იშვიათათ ჰქონია ადგილი უდისციპლინობას.

პოლიტიკური მეცადინეობა სკოლაში ნორმალურად მიმდინარეობს. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც შემოიღეს ჯგუფური მეცადინეობა, რომელმაც კარგი ნაყოფი გამოიღო.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კურს დამთავრებულებს სამხედრო ცოდნასთან ერთად შეეძლებათ მოამზადონ თავისი წითელ-არმიელები პოლიტიკურადაც.

გვაქვს პოლიტიკური სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. ქართველიშვილი, რომელიც მეცადინეობას აწარმოებს თავის დროზე და წესიერად. წითელ კუთხეში გაზეთ „კომუნისტი"-ს მეტი თავის დროზე ვერ მოდის. ნუ თუ ტფილისიდან გაზეთის მოსვლას 3 დღე სჭირდება? საჭიროა ამის მოგვარებას მიაქციონ ყურადღება ვისაც ევალება.

არის ერთი ნაკლი. სკოლაში წ-კითხვის უცოდინართათვის, რაც რომ საბანაკოდ გამოვედით შეწყვეტილია მეცადინეობა.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს კურსანტებს ამ მხრივ, რომ ისინი დაჩქარებით გატარდენ წ. კ. უცოდინართა ლიკვიდაციაში, რადგანაც ისინი სულ მოკლე ხანში მეთაურები, ხელმძღვანელები უნდა გახდენ სხვისი და რაც უნდა კარგი მომზადებული იყოს წერა კითხვის კარგად ცოდნის გარდა ისინი ვერაფერს გააკეთებენ.

საჭიროა სკოლაში წ. კ. უცოდინართათვის მეცადინეობის განახლება.

საჭიროა აგრეთვე ერთ გარემოებას მიექცეს ყურადღება, ამხანაგი ზემდეგი, ექიმთან ჩაწერილ წ.-არმიელს ამუშავებს, გზავნის დასაგველად და სხვა.

იყო შემთხვევა ექიმის მიერ განთავისუფლებული არმიელი გაგზავნა სამუშაოდ.

ლეგიონის ექიმო, მიაქციეთ ამას ყურადღება და ზემდეგს მიეცით გაფრთხილება.

ე.

# სურათები ჩვენი საქმიანობიდან.

მეექვსე ლეგიონი.

მზე ჩაესვენა. ჩვენი ყაზარმების ეზოში გამდგარი ბული ოდნავ გაიფანტა მწუხრის გრილი ნიავით. წითელ-არმიელებს საშუალება მიეცათ გამოსულიყვენ გარეთ.

მთელი დღის განმავლობაში ამხანაგი ცვალებადელლები ენერგიულად ეკიდებიან სამხედრო და პოლიტიკურ მეცადინეობას. საღამოობით კი ჩაბმული არიან კლუბთან არსებულ სხვა და სხვა წრეების მეცადინეობაში, სადაც დიდ აქტივობასა და თვითმოქმედებას იჩენენ.

მეცადინეობა დღეს უკვე მოთავდა.. ჩრდილ გადავლებული ეზო გაიჭედა მხიარულ წითელ-არმიელებით. დაიყვენ ჯგუფ-ჯგუფად, და დაიწყეს თავისთვის სხვა და სხვა გართობა. აგერ ერთი ჯგუფი სრულიად ჩამოსცილდა დანარჩენებს და მოშანდაკებულ ეზოში გამართა ფეხბურთის თამაში, შემდეგ გადავიდენ ორძელზე, ღერძზე. ყოველნაირი ვარჯიშობით იძლეს გული და შემდეგ კი იმერული და კახური სიმღერებიც შამოსძახეს...

ერთ ცვალებადელს უეცრივ რაღაც მოაგონდა და თავშეუკავებლად წამოიძახა:

— ამხანაგებო ჩონგური, ჩონგური ვიშოვოთ და მიხოც მოვათრიოთ აქვე. ის კარგ ხელმძღვანელობას გაუწევს ჩვენს გუნდს.

უმეტესობას მოეწონა ეს აზრი და ათი წუთის განმავლობაში ჩონგურის ტკბილი ხმები ეფინებოდა იქაურობას.

აქ უკვე თავი მოუყრიათ ლენკუთხის აქტივისტებს.....

ამხანაგებო! აქეთ! აქეთ იძახის ტყვიამფრქვევ ასეულში ყველაზე აქტიური ვასო..

— აბა მოვაწყოთ სამხედრო პოლიტიკური თამაში.

— მაგრამ პოლიტხელი, რომ არ არის ეხლა აქ? ჩვენ შევსძლებთ? წამოიძახა ამხ. შალვამ.

— შევსძლებთ! შევსძლებთ! ამხ. ვასო გვიხელმძღვანელებს წამოიძახეს ტერ-არმიელებმა. ვასო, გაფაციცებით მოძრაობდა აქეთ იქეთ.

— შენ აქ ამხანაგო! შენ იქნები ინგლისი; შენ საფრანგეთი; შენ პოლონეთი ამხ. ვალიკო კი საბჭოთა კავშირი.

თვითეული ტერ-არმიელი წარმოადგენდა ამა თუ იმ სახელმწიფოს, რომელიც მის სასარგებლოთ აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდა....

საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ტერ-არმიელები უფრო ძლიერები აღმოჩნდებიან, ვინაიდან მტკიცედ არიან შეკავშირებული; მხოლოდ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბანაკში კი არევდარევაა, წინაამდეგობა, ეცნკლავებიან ერთმანეთს. გამარჯვება საბჭოთა კავშირის მხარეზე რჩება, ისმის ტაში და ძახილი; გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!.

ბინდდება!!! ლეგიონის წინ გაშლილ მინდორზე გამართულია მშვენიერი სცენა და ლენ-კარვები; გაცხოველებული მუშაობაა.

ტერ-არმიელები ყოველმხრივ ცდილობენ მოაწყონ თავიანთი ასეულის ლენ-კარავი რაც შეიძლება უკეთესათ და კარგათ.

ერთი-ხის მასალას ამზადებს კარავისათვის; მეორე—ყვავილებს აშენებს; მესამე—ცენტრში ლენინის სურათს აკრავს ყველა მოძრაობს! ყველა მხიარულებს.

ისმის საყვირის ხმა! უკვე ძილის დროა.

ტერ-არმიელები მიეშურებიან ყაზარმისაკენ.

დ. ჭანტურიშვილი.

# პარტიული ცხოვრება.

## პირვ. ლეგ. 1-ლ და მესამე ასეულის კომუჯრედი.

10 ივლისს შესდგა პირველი ლეგიონის პირველ და მესამე ასეულების გაერთიანებული კომუჯრედის ღია კრება.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხი: ჭიათურის შავი ქვის კონცესია და მისი მნიშვნელობა.

ამ საკითხზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხანაგ კვინიკაძემ. მან დაწვრილებით გვამბო ხელშეკრულების პირობები და ის თუ რამდენად ხელსაყრელია ის ჩვენი მრეწველობის აღსადგენად.

მომხსენებელს მრავალი შეკითხვები მისცეს, რომლებმაც კიდევ უფრო ნათელყვეს ჩვენთვის ეს საკითხი.

კრებამ აირჩია აგრეთვე უჯრედის გამგეობა ექვსი ამხანაგიდან.

განხილული იქნენ აგრეთვე ახკომკავშირის წევრების განცხადებები პარტიის კანდიდატებათ მიღების შესახებ, და თითქმის ყველა ამხანაგების განცხადებები იქნა დაკმაყოფილებული.

სამხკორი ვ. ჩაგელიშვილი.

## დამცინავ მზვერავს ჭკუა ასწავლეთ.

**მესამე ლეგიონი.**

ლეგიონის მზვერავი და სამხეო ოცეულები დაბანაკებული არიან ერთად. იმის მაგიერ, რომ ამ ოცეულებს შორის ძმური კავშირი მეფობდეს და ერთმანეთს პატივს სცემდენ, ისინი ერთმანეთს მწარედ დასცინიან და ცუდ განწყობილებაში არიან. უმთავრესი როლი კი ამ საქმეში მიუძღვის მზვერავი ოცეულის ზემდეგს ინაშვილს. ის თავს იჩენს დაცინვებით, რომელიც მიმართულია სამხეო ოცეულის არმიელების მიმართ. ვინ იცის როგორი სიტყვებით არ უმასპინძლდება ეს ამხანაგი მათ: „დვორნიკებო" და სხვა ხშირად გაიგონებთ მისგან, რითაც ის გულს უტეხს წითელ არმიელებს და შუღლს აგდებს ამ ოცეულებს შორის. ოცეულების მესვეურებო მიაქციეთ ამ გარემოებას ყურადღება. ასწავლეთ ჭკუა ზემდეგ ინაშვილს.

დროა სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს ორივე ასეულის მიერ ყოველგვარ უამხანაგობას, დაცინვას და ქიშპობას. ეს დაუშვებელია წითელი არმიის რიგებში.

ბამვლელი.

## მეტი ყურადღება წითელ-არმიელთა წერილებს!

**პირველი საკავშირო ასეული.**

თითქმის ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც წითელ-არმიელებს ჩაუბარებიათ წერილები სამხკომის მდივნისათვის, სახლში თავის ცოლ—შვილში და დედ-მამასთან გასაგზავნათ. გულის ფანცქალით დღე-დღეზე ელიან პასუხს სახლიდან, მაგრამ როდესაც ფოსტიდან მოტანილ წერილებს გადავათვალიერებთ და შიგ არ აღმოჩნდება ჩვენი წითელ-არმიელების წერილები, გულ დაწყვეტილნი გაიძახიან:—რაშია საქმე ვისი ბრალია? მაგრამ პასუხი არსაიდან არის.

ამის უმთავრესი მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენი, სოფელში გასაგზავნი წერილები მთელი თვეობით ყრია უყურადღებოთ სამხკომის მდივნის მაგიდის ყუთში.

ასეთი მოვლენა სწორედ, რომ აღმაშფოთებელი და ყოვლად დაუშვებელია.

საჭიროა ასეთ უმსგავსოებას დაუყონებლივ ბოლო მოეღოს.

მეტი ყურადღება წითელ-არმიელთა წერილებს.

კლდის ძირელი.

## მოგვიწყვეთ ფეხსაცმელების სახელოსნო.

**მესამე ლეგიონი.**

მესამე ლეგიონს აქვს ფეხსაცმელების სახელოსნო, სადაც ჩვენივე ამხანაგი წითელი-არმიელები აკერებენ წითელ-არმიელების დაცვეთილ ფეხსაცმელებს.

ეს ამხანაგები სინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მაგრამ ცუდ მდგომარეობაში არიან იმ მხრივ, რომ არა აქვთ სხვა და სხვა საჭირო ხელსაწყოები და რაც უმთავრესია არა აქვთ კალაპოტები ფეხსაცმელებისათვის.

კარგი იქნება, რომ ლეგიონის მნე მიიღებდეს სათანადო ზომებს და უზრუნველყოფდეს სახელოსნოს საჭირო ხელსაწყოებით.

სამხკორი შეწუხებული.

## მადლობის ღირსია.

**პირველი ლეგიონი.**

რამოდენიმე თვის წინად ჩვენს ლეგიონში სამხეო ნაწილის უფროსად დანიშნული იქნა ამხ. გრიგოლაშვილი. მისი გამოცდილებით და ენერგიული საქმიანობით მრავალი ნაკლულევანებანი იქნა გამოსწორებული ლეგიონის სინამდვილეში და მრავალი ახალი რამ შეიძინა ნაწილმა. ის ყოველ საშვალებას ხმარობდა ლეგიონის მეთაურსა და სამხკომთან ერთად ყოველმხრივ გაეუმჯობესებია წითელ არმიელებისა და მეთაურთა შემადგენლობის ეკონომიური მდგომარეობა.

სამწუხაროდ ამ ჟამად ამხ. გრიგოლაშვილი გვცილდება. ლეგიონი აგზავნის მას სამხედრო სასწავლებელში ცოდნის გასაფართოებლად. ამხ. დაცილება ჩვენი ლეგიონისათვის მნიშვნელოვანი დანაკლისი იქნება, მაგრამ დარწმუნებული ვართ რომ გაფართოებული ცოდნით ის ენერგიით უფრო აღვსილი დაუბრუნდება წითელ ჯარს უფრომეტ საპასუხისმგებლო ადგილზე.

ჩვენი ლეგიონი დიდ მადლობას უცხადებს ამხანაგს და უსურვებს სწავლის წარმატებით დამთავრებას ჩვენი წითელი ჯარის სასარგებლოდ.

სამხკორი ს. იმნაიშვილი.

## ამიერ-კავკასიის ცაკში.

**საბიუჯეტო კომისია.**

ა. კ. ცაკის პრეზიდიუმმა შეადგინა ა. კ. ცაკის საბიუჯეტო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ამხ. ნაზარეტიანი (თავმჯდ.) ფ. მახარაძე, დოლიძე, ლაკობა, ხიმშიაშვილი, ჯატიევი, კირაკოზოვი, სულთანოვი და სხვ.

**წყალთა მეურნეობის დებულება.**

ა. კ. ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ა. კავკასიის და ცალკე რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის დებულება.

**უმუშევართა დასახმარებლათ**

ა. კ. ცაკმა მიიღო დადგენილება წარმოებების და კოლექტივების მოსაწყობათ, უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით.

**დახმარება.**

ა. კ. ცაკმა მიიღო დადგენილება სამხედრო მოსამსახურეთა და მუშათა ოჯახების დეფექტიურ (ნაკლულოვანებათა მქონე) წევრთა უზრუნველყოფის შესახებ. დადგენილების თანახმად, იმათ ვისაც აქვთ რაიმე გონებრივი ან ფიზიკური ნაკლი 16 წლამდე აყვანილ უნდა იქნენ სოც. დაზღვევაზე ან სოც. უზრუნველყოფაზე.

## ამბები სოფლებიდან.

**უძლიერესი გლეხკომი.**

მთელ გორის მაზრაში უძლიერეს გლეხკომათ ითვლება სოფ. ტყვიავის სათემო გლეხკომი, ხოლო ყველაზე სუსტ გლეხკომათ ითვლება კასპის გლეხკომი.

**დახმარება სამხედრო მაგიდებს.**

შორაპნის აღმასკომის პლენუმმა დაადგინა, დაავალდებულოს ყველა თემაღმასკომები, რომ მათ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ სამხედრო მაგიდებს თავიანთ მუშაობაში.

**თეატრი სოფლად.**

სოფ. ველისციხეში, ადგილობრივი აღმასკომის მეთაურობით შეაკეთეს საზაფხულო თეატრი.

**კოლექტიური შრომა.**

მთელ გორის მაზრაში წელს გლეხკომების მიერ კოლექტიურად დამუშავებულია 680 დღიური--შარშან კი დამუშავებული იყო 500 დღიური.

**ხ ა შ უ რ შ ი.**

ამ დღეებში ხაშურში მოეწყობა უმუშევართათვის საზოგადოებრივი სამუშაო.

**ჭაობის ამოშრობა.**

საქ. შრ. სახ. კომისარიატმა დაადგინა გასცეს თანხა, ჭიათურის ახლო მდებარე „გოდაბრელიძეების ჭაობის ამოსაშრობათ.

**საქონლის ჭირი.**

დუშეთში გაჩნდა საქონლის ჭირი. ადგილობრივ ჭირთან საბრძოლველათ გაგზავნილ იქნა საქონლის ექიმი.

**სასამართლოს დაახლოება სოფელთან.**

გორის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა სურამის სახალხო სასამართლო გადაიტანოს სოფ. ვაყაში, სადაც სასამართლო უფრო დასამხრისი იქნება ახლო-მახლო სოფლებისათვის.

**ფიზკულტურისათვის.**

გორის აღმასკომმა გადასდო 300 მანეთი ფიზკულტურის ბაქანის ახალ ადგილზე მოსაწყობათ.

**სამილიციო პოსტი.**

სოფ. ვაყაში (გორ. მაზრა) სამაზრო აღმასკომის გადაწყვეტილებით ეწყობა სამილიციო პოსტი.

**ჯანმრთელობის დასაცავათ.**

სიღნაღის აღმასკომმა შეადგინა სამაზრო სასანიტარო სამეული, რომელიც უკვე შეუდგა მმუშაობას. სამეული ჩამოიარ ყველა სოფლებს და თვალყურს ადევნებს, რომ არსად არ იქნეს დარღვეული სანიტარული წესები.

**სამიწათმოქმედო არტელი.**

რაჭაში შესდგა გლეხების მიერ სამიწათმოქმედო არტელი. არტელს მეთაურობს სამაზრო გლეხკომი.

**ხალიჩების ქარხანა.**

მიწ.-მოქ. სახალხო კომისარიატის შინავაჭრობის განყოფილებამ გორში მოაწყო ხალიჩების საქსოვი ქარხანა.

# ახალი ამბები.

— **წყლის მიწოდება.** ივნისის განმავლობაში ავჭალის წყალსადენმა მიაწოდა ქალაქს 38.446.050 ვედრო წყალი.

— **ივნისის** განმავლობაში ტფილისის ტრამვაით უსარგებლია 3.049.985 მგზავრს.

— **წარმოკავშირის მუშაობა.** წარმოკავშირმა შეიძინა 15 ათ. ფუთი შაბიამანი და 5 ათასი ფ. გოგირდი.

— **წელს განზრახულია** დამზადებულ იქნეს 300 ათ. ფუთი სას.-სამ. ნაწარმოებნი, რომელთა რეალიზაცია განზრახულია საზღვარგარეთ.

— **პოლიგრაფტრესტმა** გადასდო 1925 მანეთი პოლიგრაფტრესტის მოწაფეთა ექსკურსიის მოსაწყობათ მოსკოვში.

— **პიონერთა ჯანმრთელობის** გამორკვევას შეუდგება ახლო ხანში დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილება.

— **რადიო-სადგურების** სოფლად მოწყობის შესახებ შეტანილი განცხადებები განთავისუფლებულია საღერბო გადასახადებისაგან. გარდა ამისა რადიო-მიმღები სადგურების მოსაწყობათ არსებობს სხვა შეღავათებიც.

## ხელოვნება.

— **ვანო სარაჯიშვილის** სახელობის კლუბში მოეწყო კინო და ფიზკულტურის წრე ხელოვნების მუშაკთათვის.

— **საბალეტო გასტროლები.** ტფილისში ჩამოვიდა ცნობილი ბალეტმეისტერი კვიატკოვსკი, რომელიც გამართავს საბალეტო წარმოდგენებს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში.

— **ქართული ჭიდაობა.** კვირას, ძმ. ტანტების ცირკში გაიმართება ქართული ჭიდაობა. საქართველოს სხვა და სხვა კუთხის ფალავნებს შორის. ჭიდაობას ხელმძღვანელობს ლადო კავსაძე.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლი ლეგიონის მე-4-ხე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები შემდეგ წითელ არმიელ კომკავშირის წევრებს კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ: 1. ლითანიშვილი გიორგი სიმონისძე. თბილისის მაზრა 2. ანთაური ხვთისოვარ დავითისძე. დუშეთის მაზრის, სოფელი კაწალხევი. 3. ხუბეროვი სურენ დავითისძე. თბილისის მაზრა სოფელი მცხეთა. და უპარტიო 4. ამყოლაძე ათანასი ივლიანისძე ქუთაისის მაზრა სოფელი ცუცხვათი.

გთხოვთ გვაცნობოთ ვისაც აქვთ ზემო-აღნიშნული პირებზედ რაიმე საწინააღმდეგო.

კომუჯრედის მდივანი ვაშაკიძე.

1-ლ ქ. მ. ლეგიონის მე 2-რე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში კანდიდატებად მიღების შესახებ ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომელთა შესახებ თუ ვისმეს მოეპოებათ რაიმე საწინააღმდეგო მათი პარტიაში მიღების შესახებ, ვთხოვთ გვაცნობონ შემდეგ მისამართით: 1-ლი **ლეგიონის საზამთრო ყაზარმაში მე 2-რე ასეულის კომუჯრედში.**

1) ალექსანდრე მიხეილის-ძე ლაღიძე 2) დავით არტემის-ძე ვერულაშვილი და 3) ვასილ იოსების-ძე ვაშაკიძე. ყველა ზემოხსენებული წ. მოლაშქრენი არიან უპარტიო.

მე 2-რე ასეულის კომუჯრედის პ.-ე მდივანი ი. სილაგაძე.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

**დაეკარგე** სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 294, 1924 წ. 12 თებერვალს გაცემული, რაჭის მაზრის პატარა ონის რაიონიდან ლავრენტი სოლომონისძე სირაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაეკარგე** ახ. ლენ. კომუნისტური კავშირის წევრობის წიგნაკი № 9966, გაცემული შორაპნის მაზრის სამაზრო პარტკომის მიერ თეოფილე საბასძე სინჭალაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.